№ 220 ოქტომბერი 12, კვირა 1886 ოქტომბერი 12 კვირა № 220

ეროვნული

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ქართული თეატრი

დღეს, 12 ღვინობისთვეს

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ დასისაგან წარმოდგენილი იქნება არწრუნისეულ თეატრში:

I

ბაქი-ბუქი

კომედია 2 მოქმ., ფრანცუზულიდამ გადმოკეთებული ან. თუმანიშვილისაგან.

II

დროებითი სიყვარული

ვოდევილი 2 მოქმ., რუსულიდამ გადმოკეთ თ. დ. ერისთავისაგან.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია, საფ.-აბაშიძისა, ლეონიძისა, ცაგარლისა და მელიქიშვილი; ბბ. აბაშიძე, ალექ.-მესხიევი, აწყურელი, მაქსიმიძე და სხ.

დასაწყისი 7½ საათზედ

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, ქ. გორში, პირველს ნოემბერს 1886 წ., ორ საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა, განუმეორებლად, ზეპირი და დაბეჭდილ კონვერტში განცხადებებით შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისთვის და რომელთა ასაშენებლადაც დანიშნულია (68,194 მან. და 20 კ.) სამოცდა რვა ათას ას ოთხმოცდა თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი. პირობანი ამა ვაჭრობისანი და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ექსარხოსის კანცელარიაში; სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველ დღე, თვინიერ კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან საღამოს ორ საათამდინ.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდინ შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი ვაჭრობად და მასზედა, რომ მათ სურთ აიღონ ფოდრატი პირობათა თანახმად. (3—3)

ტფილისი, 11 ოქტომბერი

ჩვენ გუშინ ვსთქვით, რომ საქმეთა ვითარებამ გერმანია იმ გზაზედ დააყენა, რომ ან უნდა გული მოუგოს საფრანგეთსა, ან კიდევ ისე მოახერხოს, რომ, თუ ვინიცობაა საფრანგეთი გამოელაშქრება, მარტო გამოვიდეს საომარს მოედანზედ და სხვა მეშველი არა ჰყვანდეს. პირველს, როგორაც ვსთქვით, ძნელი საშველი აქვს და ამიტომაც ბისმარკმა მთელი თავისი გამოცდილება, ოსტატობა და ხერხი უკანასკნელს მიაქცია. ამ გზაზედ ბისმარკი მარტო იმას კი არა ჰცდილობს, მომხრეები შემოუფერთხოს საფრანგეთსა, არამედ წაჰკიდოს კიდეც საჩხუბარად გაუხადოს საქმე და მტერი აუჩინოს. ამისათვის ხელ-ჩასაკიდებელი მიზეზი ერთის მხრით ეგვიპტეა და მეორეს მხრით ტრიპოლი. ერთგანაც და მეორეთგანაც საფრანგეთს თავისი საკუთარი ინტერესი აქვს, ნამეტნავად ეგვიპტეში. 1882 ეგვიპტეში ფეხი ჩადგა ინგლისმა, თავისი ჯარები შეიყვანა ვითამდა წესიერების დასაცველად და მას აქედ აღარ გამოდის იქიდამ, თუმცა მაშინ პირობა და ვადა დაუდო ევროპასა იქიდამ გამოსვლისა. რასაკვირველია, საფრანგეთმა მაშინვე იწყინა ეს ამბავი, მაშინვე წინააღმდეგობა დიპლომატიური გაუწია და რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ ღონე ისე მოკრებილი არა ჰქონდა, როგორც დღეს — დიპლომატიურ მიწერ-მოწერას საქმე არ გადასცილდა. დღეს საფრანგეთს ღონე შესწევს ქადილსა და რადგანაც ინგლისმა ასე ძლიერ გამოიდვა თავი ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმეთა გამო, რადგანაც ასე შორს შესტოპა ამ საქმეში და ძლიერ მოიმდურვა რუსეთი, საფრანგეთს ძველი დარდი ეგვიპტისა აეშალა, იმედი მოეცა, რომ თუ გახდება რასმე ეგვიპტის გამო, ეხლა გახდება, როცა ინგლისზედ ესე ძლიერ გულ-აყრილია რუსეთი. ბისმარკმა, რასაკვირველია, ხელიდამ არ გაუშვა ეს შემთხვევა და ცეცხლს ნავთი დაასხა გასაძლიერებლად. ინგლისსაც წაქეზება არ მოაკლო, აბა თუ რამ შეგიძლიან ეგვიპტეში, შენი საქმე ისაქმეო, მინამ ევროპა ბალკანის ნახევარ კუნძულისათვისღაა მოცლილიო და საფრანგეთსაც არ გამოაკლო თავისი კეთილი რჩევა: აბა შენს სატკივარს ეგვიპტეში წამალი რამ დასდეო, მინამ ინგლისი ჩაბმულია ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმეებში ისე, რომ უკან დაწევისათვის ძნელად თუ და მოიცლისო.

ამ ორ-პირად მახვილის ქნევამ თავისი ჰქნა. ინგლისმა აღარ დაჰმალა, რომ ეგვიპტის სამუდამოდ ხელში ჩაგდება მისი სანატრელი საგანია და საფრანგეთიც ამაზედ მეტის-მეტად აპილპილდა.

საფრანგეთის გაზეთი „Rèpublique Française“-ი ამბობს, რომ ინგლისის განზრახვას ეგვიპტის გამოვერას გზით საფრანგეთი ვერ მიემხრობა, პირ-იქით არასოდეს არ დაჰზოგავს, ოღონდ კი ეგ განზრახვა ინგლისს არ შეასრულებინოსო. ეხლა საფრანგეთს გარკვეული აზრი აქვს ეგვიპტის საქმის თაობაზედ და შემთხვევას არ დაჰკარგავს, წინანდელნი შეცდომანი თვისნი დღეს არ გაასწოროსო. მიზეზად განხეთქილებისა საფრანგეთისა და ინგლისის შორის ორი შეცდომა იყოვო: ერთი ისა, რომ საფრანგეთი 1882 წელს ინგლისთან ერთად არ შევიდა ეგვიპტეშიო და მეორე ისა, რომ ნება მისცა ინგლისსა დღეს აქამომდე ეგვიპტეში ყოფნისა მაშინ, როდესაც საქვეყნოდ ჰქონდა ინგლისს პირობა დადებული, მე იქ დიდხანს არ დავრჩებიო. მინამ ეს ორი შეცდომა საფრანგეთისა არ იქნება გასწორებული, იმ დრომდე საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთისაგან არამც თუ გულს ვერ მოიბრუნებენ, არამედ უფრო გაიწბილდებიანო. თუ ეგვიპტე არც ინგლისისა და არც საფრანგეთის ხელ-ქვეით არ იქნება, ამ ორისავე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანერთს შეეწონებიან და შეუსწორდებიანო. მას აქედ, რაც სუეზის არხი გაიჭრა, საფრანგეთს ფიქრადაც არ გაუტარებია ეგვიპტე ხელთ-იგდოსო. საფრანგეთს სულაც არა ჰსურს მარტო თვითონ იქონიოს ზედ-გავლენა ეგვიპტეზედაო. ამასვე ითხოვს საფრანგეთი ინგლისისაგან. საფრანგეთი თავის დღეში ვერ იშვნევს და ვერ შეიწყნარებს, რომ ეგვიპტეში იბატონოს მარტო ერთმა რომელმამე სახელმწიფომ. ინგლისის მიერ ეგვიპტის დაჭერა ომის მიზეზად გაგვიხდება, იმიტომ-რომ დაპყრობა ეგვიპტისა იმავე დროს სუეზის არხის დაპყრობა იქნებაო. ეგვიპტის დამპყრობელს ხელთ ეჭირება საფრანგეთის კოლონიების კარის გასაღებიცა, რომელნიც აღმოსავლეთის ნაპირას მდებარეობენ და სირიაში, საცა საფრანგეთს ამოდენა ხანია თავისი ხმა აქვს, წინ გადეღობება საფრანგეთსაო. დიდი სახელმწიფო ვერ გასწირავს ამოდენად თავის ინტერესებს, თუ არ დიდის დამარცხების შემდეგაო. სუეზის არხი მთელის ევროპის მზრუნველობის ქვეშ უნდა იქმნასო. ბოლოს ხსენებული გაზეთი ასე ათავებს:

> „ან ჩვენ მეტის-მეტად ვცდებით, ან მთელი ევროპა აღარ უნდა ეჭვობდეს, რომ ასეთია უმთავრესი აზრი და საგანი იმ პოლიტიკისა, რომელსაც უნდა ზდიოს საფრანგეთმა, როგორც სახელმწიფომ კოლონიების პატრონმა და აფრიკაში ადგილების მფლობელმა. მარტო ერთს ინგლისს არა ჰსურს ამ გარემოებას დაუფიქრდეს და თავის თავს ანგარიში მისცეს.“

რაკი საქმე ამისთანა მკვახე სიტყვებამდე მივიდა, ძნელი გამოსაცნობი აღარ არის, რამოდენად გაძლიერებულია შუღლი ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ეს ხომ ესეა, მაგრამ საფრანგეთის გაზეთები იმასაცა ჰგრძნობენ, რომ აქ მავთულებს სხვა ოსტატი ხელი ათამაშებს და ატოკებს და ამას ძალიან უფთხილდებიან. ჩვენ კარგად გვესმისო, ამბობენ იგინი: რომ,

---

ფელეტონი

ფშაური ლექსები

(ფშავის სოფლის არტანელის ბაბალე მინდოდაურისაგან გაგონილი)

მამიგონოდით, სწორებო,
დამიტირედი, დედაო,
გამწყრალის შვილის ტირილი,
რაკი არ შაგისდებაო.
ღისანს რომ ვეღარ მოვიდე,
ჩემი რა გაიგებაო:
მეც შავდექ მტრისა გზაზედა,
ფერი და ფერი მსდებაო.

**

ვაი ჩემს ამ დროთ მდოურასა,
ჩემს ამის მოხილებასა:
ვეღარც ვის წირვას შევაქცევ,
ვეღარც ვის შაგინებასა...
კლდისა ნაკვეთსა*) ვკიდივარ,
ჩავვარდე, ჩამზადული ვარ,—
გინდა ჩავვარდე, გინდ არა,
მე მაინც დაკარგული ვარ.

---

*) ნაპირას.

თავადი ბისმარკი შინაურობაში.

დრონსერმა ჟურნალ „Correspondant“-ში დაჰბეჭდა რამდენიმე წერილი თავად ბისმარკსა და მის მოღვაწეობაზედ. უკანასკნელ წერილში აწერილია თავადის შინაური ცხოვრება, მისი ხასიათი, მიდრეკილება და ჩვეულება. წერილების ავტორმა ჯერ პოლიტიკოსი გამოხატა და ეხლა კერძო-კაცს გვიჩვენებს და, თქმა არ უნდა, უკანასკნელი პირველს ინტერესით არ ჩამოუვარდება.

თავადს ბისმარკს ჭაბუკობაშივე უყვარდა სოფლური ცხოვრება და ეხლაც უყვარს. ამ ჟამადაც თავადი მხოლოდ იმითი-ღა სიამოვნებს, რომ მაღალ-ყელიანი, სანადირო ჩექმები აცვია და დაიარება ტყეებსა და მინდვრებში, ყოველ-გვარს ცივილიზაციას მოშორებული. ყველაზედ სასიამოვნო გამომეტყველება სახისა აქვს ბისმარკს ვარცინში, როცა ფრინველის ჰაერში ტრიალს თვალს ადევნებს. სწორედ ამ დროს მხატვარი ლენბახი მისწრებია, დაუნახავს ბისმარკის სახე და შეუძახნია: „ეგ არის, ეგ!.. აღარ გაინძრათ, აღარ!“ ამ მხატვარს მაშინვე გადუღია ბისმარკის სახე. ეს სურათი ყველა სხვა სურათს ბისმარკისას სჯობია და ბერლინის საერო გალლერეიაში ასვენია. ამ სურათიდგან შემდეგ ერთი სურათი პაპა ლევ XIII ისთვის გადუღია მხატვარს. „გარწმუნებთო, უთქვამს ერთხელ ბისმარკის მეუღლეს ერთის დიპლომატისთვის:—ჩემის ქმრისთვის მინდორში დათესილი თალგამი უფრო საინტერესოა თქვენს პოლიტიკაზედაო.“ რამდენად მართალია ბისმარკის მეუღლის სიტყვა, ძნელი გამოსაცნობია და უფრო დასაჯერებელი-კი ის არის, რომ ბისმარკი როცა თალგამს დასცქერის, უეჭველია, გონება სულ სხვაგან უქრის და სხვა რასმეზედა ჰფიქრობს. ასეა, თუ ისე, თავად ბისმარკს ძალიან უყვარს სოფლის ბუნება. ყოველთვის, როცა დრო და მოცალება ნებას აძლევს, თავის მამულში, ვარცინში მიდის და იქ ისვენებს ხოლმე. მამული ბისმარკს თავის გემოვნებაზედა აქვს გამართული და გაწყობილი; თავის მამა-პაპეულს მამულებს, შონგაუზენსა და კნიფჰოფს გარდა, 1866 წ., გერმანიისა და ავსტრიის ომის შემდეგ, ბისმარკმა იყიდა ვარცინი 650,000 მანათად. ეს ფული იმპერატორმა უბოძა ჯილდოდ. 1871 წ. იმპერატორმა კვლავ უწყალობა ერთი მამული კიდევ სახელად ფრიდრიხსრი, რომელიც ლაუენბურგში იმყოფება. ეს მამული 2 მილლიონ მანათად იყიდეს. ამ ჟამად დიდს კანცლერს გერმანიისას 200,000 მანათი შემოსავალი აქვს წელიწადში.

თავადი ბისმარკი თითონ უვლის თავის მამულებს და ძალიან კარგადაც უვლის. ბისმარკმა ყველაფერი იცის: მიწის-მოქმედება, მეტყევობა, მექარხნობა, ლუდის გამოხდა, ღვინის დაყენება; ხე-ტყის სახერხავს ქარხანას და ქაღალდის ფაბრიკას თითქმის თვითონ ამუშავებს, ყველაფერს თვალყურს ადევნებს, ყველაფერი იცის. როცა თავის მამულში მიდის ბისმარკი, სამხედრო ტანისამოსს გაიხდის ხოლმე და სადა—მოკლე ტანისამოსს იცვამს. დილის 9 საათზედ დაიჭერს ხელში კარგა მოზრდილს ჯოხსა, წამოიმძღვარებს თავის ძაღლებს და გამოდის გარედ. 10—11 საათს შუა, როცა საუზმობს, წერილებსა და დეპეშებს მოუტანენ ხოლმე. წერილებისა და დეპეშების გადათვალიერებას რომ გაათავებს, მამულთ-მეპატრონეებსა, მოურავებსა და ტყის ყარაულებს ინახულებს ხოლმე. პირველის საათიდამ ორ-საათამდე თავის მამულის დასათვალიერებლად მიდის ან ცხენით და ან ეტლითა. საღამოს ხუთს საათზედა ჰსადილობს. სადილის დროს, ორივ მხრივ თავის საყვარელ ძაღლებს მოისხამს ხოლმე და ისე შეექცევა სადილს. სადილს შემდეგ შედის იმ ოთახში, საცა ბილლიარდი დგას, დაჯდება ხოლმე ბუხარ წინ და ჩიბუხსა სწევს. ამავე ოთახში შეექცევა ყავასაც. საღამოს 10½ საათზედ ბისმარკი თავის მეუღლის ოთახში ჩაისა სვამს და შუაღამისას კი ყველანი თავ-თავის ოთახებში მიდიან დასაძინებლად; ბისმარკს კი დიდხანსა ჰღვიძავს ხოლმე და დიდხანს არ იძინებს.

თქმა არ უნდა, რომ ბისმარკს არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

«რაკი აღმოსავლეთის საქმე ამ უკანასკნელს დროს დიდ გაჭირებამდე მივიდა, გერმანიას საღერღელი აეშალა საფრანგეთი წასჩხუბოს სხვა სახელმწიფოებსა. ქსელი მეტად ტლანქად არის აკინძული და გაბმული და ძნელია კაცი შეიტყუოს შიგ გასაბმელადაო.“

ჩვენ ადრევაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ იტალიას ბევრი მიზეზი აქვს დაუახლოვდეს სამეგობროდ საფრანგეთსა. ეს ბისმარკმა კარგად იცის და აბა როგორ მოითმენს, რომ ამათ შუა ხიდი არ ჩაამტვრიოს. ერთი ადგილია აფრიკაში, რომელსაც ტრიპოლი ჰქვიან და რომელიც საცილობელი საგანია იტალიის და საფრანგეთ შორის. ამას წინად გერმანიის გაზეთებმა, რასაკვირველია, ბისმარკის დაკითხვითა, გამოაცხადეს, რომ გერმანია ხმასაც არ ამოიღებს, თუ რომ საფრანგეთმა დაიჭირა ტრიპოლიო. საფრანგეთის გაზეთებმა შეუტყეს სადა სცემს ეს ამისთანა გულისტკივილი გერმანიისა და პასუხად დაუწერეს:

> „ამაოდ გარჯაა, ვინც სცდილობს იტალია და საფრანგეთი ერთმანეთს წასჩხუბოს ხმელთა შუა ზღვისა და ნამეტნავად ტრიპოლის გამო. თუ იტალიას ჰსურს დაიჭიროს ტრიპოლი, საფრანგეთი წინ არ დაუდგება.“

აშკარაა, საფრანგეთი მისთვის გაბმულ ფაცერში თავს არ წაჰყოფს, როგორც ამას მოელოდებიან მისნი მტერნი. საფრანგეთი დღეს იმ მდგომარეობაშია, რომ გულ-დამშვიდებით შეუძლიან თავის მომავალს ბედს თვალი გაუსწოროს და არ შეუდრკეს. ამას გულ-ახდილად და სამართლიანის თავ-მოწონებით ჰქადაგებენ საფრანგეთის გაზეთები.

> „საფრანგეთს, ამბობენ იგი გაზეთები: ჯერ კიდევ დრო უწერს გულ-დამშვიდებით ელოდოს იმ წამს, როცა საქმეთა მსვლელობა მიიწვევს თავისი უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვას ევროპის საერთო კრებაში... როცა მოვა დრო საგანაჩენო კვეთებისა, რომელსაც მერმისი ინახავს თვისთა საშინელთა საიდუმლოებათა შორის, ჩვენი გული, ჩვენი ხელი,—ვინ იცის—იქნება, რუსეთს მივაჩემოთ. ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ ჩვენი შეცდომანი. საფრანგეთის ჯარის კაცი აღარ გადაელობება რუსეთს აღმოსავლეთის გზაზედა.“

ვინ არის აქ ამოღებული ნიშანში, ყველასათვის ცხადია. აი ამ წუთს საშინელის კვეთებისას უფრთხის დღეს ბისმარკი და გერმანია, რომელთ ყურამდინაც უკვე მიღწეული უნდა იყოს ბერძენთა მეფის გიორგის I-ის სიტყვანი, გადმოცემულნი საფრანგეთის გაზეთის „Temps“-ის მიერ: ვერც ერთი სახელმწიფო ევროპაში ვერ შესძლებს დიდხანს მარტომ იბატონოსო“.

ახალი ამბავი

⁂ სოფ. ურიათუბანს კახეთში ერთი კარგი წესი შემოუღია. ამ სოფელს რამდენიმე კეთილ-სინიდისიერი კაცი ჰყავს თურმე ამორჩეული განაჩენის ძალით და ამ რამდენსამე კაცს აქვს მინდობილი, ყური უგდოს სოფლის ყოველ-გვარ საქმეს. ამორჩეული კაცები მეტად კარგად და მხნედ თურმე იქცევიან და გულ-მტკივნეულობით ეკიდებიან სასოფლო საქმეებს. ამათის წყალობითაო, გვწერს კორრესპონდენტი, აქაურს სკოლას მშვენიერი შენობა აქვს ამ ჟამადაო, მღვდელსაც რიგიანი სახლი დაუდგესო, სოფლის მაღაზიის საქმეებიც ცნობაში მოიყვანეს და მთელის სასოფლო საზოგადოების შემოსავალ-გასავალსაც თვალ-ყურს ადევნებენო. რასაც სოფლის მოხელენი ვერ გასწვდომიან, ეს ამორჩეულნი კაცნი უგდებენ ყურს და დიდი სარგებლობაც მოაქვთ სოფლისათვისაო.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისში ამ ერთის კვირის წინად, სახელდობრ, წარსულს შაბათს გამოსულა თავის სახლიდამ 12 წლის ყმაწვილი ილიკო რევაზოვი და მას უკან სახლში აღარ დაბრუნებულა. პატრონები სძებნიან თურმე ამ ორის კვირის განმავლობაში, გამოაცხადეს პოლიციაშიაც, მაგრამ აქამდე ვერას გზით ვერ მიიკვლიეს კვალი დაკარგულის ყმაწვილისა.

⁂ არწრუნისეულს ქარვასლაში, შტაბის შენობის გვერდზე, გზა გადის, სასახლის ქუჩიდამ ფრეილინის ქუჩამდე. ეს გზა სულ ახლად არის გაკეთებული და ღამ-ღამობით ისე ბნელია, რომ კაცი ვერასფერს დაინახავს. სასურველია, რომ ამ ჯალის გზის გასანათებლად ერთს ფარანს მაინც დასდგამდნენ.

⁂ ბაქოში იმდენი ნავთი თურმე ამოდის ზოგიერთის წყაროებიდამ, რომ პატრონებმა აღარ იციან, რა უყონ ამ აუარებელს სანათს მასალას. ბაილოვის ნახევარ კუნძულზე ამოჰხეთქა ტალიევის ნავთის წყარომ, რომელიც თურმე დამშრალი ეგონა პატრონს და სულ მოარაალა გარეშემო ადგილები. ნავთის ფასმა ძალიან დაიწია ბაქოშიაო. ზოგს ნავთის პატრონთ პირობა შეუკრავთ ნავთის მყიდველებთან, რომ მერმისს მთელის წლის განმავლობაში რამდენსაც გსურთ, იმდენს ნავთს მოგყიდით ფუთს 1 კაპეიკადაო.

⁂ ამას წინად ჩვენ გვწერდნენ ჯავახეთითგან, რომ აქაურ სასოფლო სკოლებში ძალიან ნაკლებად არის ქართული წიგნებიო და ამის გამო ქართულის ენის სწავლება ძრიელ სამწუხარო მდგომიარებაშიაო. ახლა კიდევ სურამიდამ გვწერენ, რომ ეს დაბრკოლება წინ ელობება ქართულის ენის რიგიანად სწავლებას იმ სასოფლო სკოლებშიაც, რომელნიც დაბა სურამის ახლო-მახლოა დამართულიო. აქაურ სკოლებშიაც, იწერება კორრესპონდენტი, მხოლოდ „დედა-ენა“ თუ მოიპოვება და ისიც ძალიან ნაკლებად არის. სხვა რომელიმე ქართულ სახელმძღვანელოს ჭაჭანებაც არ არის აქაო. ბავშვები «დედა ენას» ათავებენ წელიწად-ნახევარში და შემდეგ წელიწად-ნახევარში სრულიად უწიგნოდა რჩებიან. ამიტომ პირველ ხანებში ნასწავლთ მეორე წლის დამლევს და მესამე წლის განმავლობაში ავიწყდებათ, რაც ისწავლესო და სკოლიდგან გამოდიან იმდენათ უმეცარნი, რომ ქართულს ძლივს ჩათვლით ჰკითხულობენო. არ მოიპოვება სკოლებში აგრეთვე ქართული წერის «დედანი», რის გამოც კანონიერის წერის მაგივრად მხოლოდ რაღაც უმგზავსო ჯღაბნასა სწავლობენ შეგირდებიო. მასწავლებლები ემდურებიან ბატონ გრიქუროვს, რომელიც კამისიონერად არის და ვალათა სძევს ყოველი სახელმძღვანელო წიგნები უგზავნოს თავის დროზე სკოლებსაო.

⁂ კუკიაში უკვე გაუთავებიათ მიხეილოვის ქუჩაზე ცხენის-რკინის გზის რელსების გადატანა ერთის მხრიდამ მეორე მხარეზე და 8 ოქტომბერს ფაიტონებმა თავისუფლად დაიწყეს სიარული ამ ქუჩაზეო, ამბობს გაზეთი „კავკაზი“.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, 9 ოქტომბერს ჩამოსულა ტფილისში მოსკოვის ქალაქის თავი ნ. ალექსეევი.

⁂ ტფილისის საქალაქო საბჭომ, ამას წინად, ესე იგი 22 სექტემბერს, დაამტკიცა მოხსენება გამგეობისა საარჩევანო სიების გასწორების თაობაზედ. ახლა გამგეობას კიდეც გაუსწორებია ეს სიები საბჭოს გარდაწყვეტილების თანხმად და 1 რიგის ამომრჩეველთა შორის ორი ახალი ამომრჩეველი ჩაუმატებია, ხოლო მეორესაში—17 და მესამესაში—30. 1 რიგიდამ მეორეში გადაუყვანია 2 ამომრჩეველი, მე-2-დამ მესამეში—13 და მესამიდამ მეორეში—1. ამ გვარად სიების გადაკეთების გამო საერთო გარდასახადი 1 რიგისა არის 35,978 მან. 18 კაპ. მეორისა—35,773 მან. 13 კაპ. და მესამისა—35,520 მან. 10 კაპ.

⁂ რაჭიდამ სწერენ გაზეთს «კავკაზსა», რომ აქ უკვე გათავდა შედგენა საოჯახო სიებისაო. აღმოჩნდა, რომ მთელს მაზრაში ამ ჟამად არის სულ 6,960 კომლი კაცი, ანუ 29,519 სული მამათა სქესისა და 26,166 დედათა სქესისაო.

⁂ 10 ოქტომბერს, ჩითახოვის სახლთან მიუგდიათ ახლად-დაბადებული ქალი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილიო.

⁂ 17 სექტემბერს, მე-6 ნაწილში, ჩხუბი მოუვიდათ სერგო კარაპეტოვსა და ტფილისის მოქალაქეს დავით ბაზიაროვს. კარაპეტოვმა იმდენი სცემა ბაზიაროვს, რომ ეს უკანასკნელი გარდაიცვალა ცემისაგან 7 ოქტომბერსაო. ამის გამო კარაპეტოვი სამართალში იქმნა მიცემული და გამოძიება სწარმოებსო.

ნაკვესი

ერთს ლხინში, სადაც გახურვებული სმა იყო, აკაკიც დაესწრო. ჯერ, პირველად, კარგი, მაგარი, თავი ღვინოები შემოჰქონდათ სუფრაზე, მაგრამ ბოლოს კი, როცა მასპინძელმა გაიგო გუნებაში, რომ სტუმრები შეზარხოშდნენ და ბევრი აღარა გაეგებათ-რაო, მდარე, თხელი ღვინოებიც მოაყოლეს.—მართლაც ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ ბოლოს, როცა მასპინძლის სადღეგრძელოსა ჰსვამდენ, აივსო აკაკიმ იმ ღვინით ჭიქა და მიაძახა მასპინძელს: «შენი სადღეგრძელო იყოს ბატონო ანტი-ქრისტეო! მასპინძელმა იუცხოვა და უგმაყოფილოდ ჰკითხა: „რა მიგავს ანტი-ქრისტესაო?“

—მეტი სასწაულთ მოქმედებაღა იქნება, ღვინო წყლად აქციეთო...

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ზემო-იმერეთი, 7 ოქტომბერს. ზემო-იმერეთში არ იცის სანაქებო სიმინდის მოსავალი. მცხოვრებლებს ძლივს ძლივობით მოჰყავთ წლიური სარჩო და ხან იმასაც ვერ მოიყვანებენ ხოლმე. მათს სიმდიდრეს შეადგენს მხოლოდ ღვინის მოსავალი. ღვინოსა ჰყიდიან და ღვინოში აღებულის ფულით სიმინდს ჰყიდულობენ. ასე მიდის იოლად ზემო-იმერეთი მაგრამ ხანდის-ხან ისეთი წელიწადი დაუდგება, რომ მისს ბედსა და იღბალს უკუღმა დაატრიალებს ხოლმე: აღარც სიმინდი მოვა ხოლმე და აღარც ღვინო. აი ამისთანა წელიწადი ეწვია წელსაც ზემო-იმერეთს. ზაფხულის სიცხეებმა და გოლვებმა გაახმეს სიმინდები და ვენახები; ამას ზედ დაემატა ნაცარი, რომელმაც გაახმო და ჩამოჰყარა ყურძენი, ისე რომ ზედ ნახევარიც აღარ შეარჩინა. ამ ნაირად გაფუჭე-

---

სოფელში ასვენებენ ცნობის-მოყვარეები, ურიცხვი მნახველები და სტუმრები. რომ როგორმე მოიშოროს თავიდამ რომელიმე ცნობის-მოყვარე სტუმარი, ბისმარკი პატარა კიბიდგან გაიპარება სახლიდგან და სტუმარს დაემალება. ეს კიბე ამისთანა შემთხვევისათვისა აქვს ბისმარკს გამართული. დრონსერი აი რა ამბავს გვიამბობს.

„ერთხელ ერთის დიდის სახელმწიფოს ელჩი იყო ბისმარკთან. კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ელჩმა ჰკითხა ბისმარკსა:

— როგორ იშორებთ თავიდგან თავ-მომაბეზრებელ სტუმრებსა და ურიცხვ მნახველებსაო?

— ო, ადვილადაო,—უპასუხა ბისმარკმა:—როცა რომელიმე დაუპატიჟებელი სტუმარი დიდხანს გამიბამს ლაპარაკს და ვერაფრით გავიცილო, ჩემი მეუღლე დამიბარებს ხოლმე და სტუმარიც, მეტი რა ღონე აქვს, უნდა გამომემშვიდობოს და წავიდესო. დაუსრულებიათ თუ არა ეს სიტყვები ბისმარკს, ამ დროს მსახური შემოსულა და მოუხსენებია თავადისათვის:—თქვენი მეუღლე გთხოვთ რამდენისამე წამითა მობძანდეთო. ელჩი გაწითლებულა, შერცხვენია და მაშინვე გამომშვიდებია ბისმარკსა.“

როცა ბისმარკი თავისუფალია და ვალდებული არ არის, ბერლინში იმყოფებოდეს, ხან ვარცინსა და ხან ფრიდრიხსერში სცხოვრობს. ფრიდრიხსერი ძალიან მშვიდობიანი, ჩუმი, მყუდრო ადგილია და სადად მოწყობილი. სასახლის კედლები და ჭერი უბრალოდ, გაჯით არის გალესილი, შპალიერი არა აქვს გაკრული. ერთად-ერთი სიმდიდრე ის არის ამ სადგურისა, რომ ყველა ოთახებში სქელი ხალიჩები აგია, ავეჯეულობა და მორთულობა-კი სულ სადაა, უბრალო. კედლებზედ სახე-სურათებია ჩამოკიდებული: ლორდის ბიკონსფილდისა, ტიერისა, თავადის კარდინალის გოგენლოესი, მარშალ მოლტკეს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სახე, ბრინჯაოსაგანვე ჩამოსხმული სახე მთავრისა და თაბაშირისგან ჩამოსხმული სახე დიდის კარლოსის ძეგლისა; რამდენიმე სურათი ბისმარკის ოჯახის-შვილებისანი და შვიდი დიდი სურათი, რომელზედაც გამოხატულია ბისმარკის მამულები. ეს არის მთელი სიმდიდრე ფრიდრიხსერისა. თავადს ბისმარკს ყველა ხელოვნებაზედ მეტად მუსიკა უყვარს; თითონ მუსიკის მცოდნე არ არის, მაგრამ სხვას კი დიდის სიამოვნებით უგდებს ხოლმე ყურსა. სხვა ხელოვნება არ მოსწონს და ერთხელ ლუკკის ფოტოგრაფიის სურათს ქვეშ დაეწერა: „ხელოვნება გვალხენს, გვასიამოვნებს ხოლმე, ხოლო წუთისოფელს, ცხოვრებას კი ხუმრობა არ უყვარსო!..“

ბისმარკი მაღალის ზნეობის კაცია. ძალიან უყვარს თავის ცოლ-შვილი და თვითონ ცოლიც და შვილებიც თავს ევლებიან, ყოველთვის იმის სიამოვნებასა ჰცდილობენ და მცირეოდენ წყენას მისას ძლიერ ერიდებიან. ამიტომაც ისე ძალიან უყვარს ბისმარკს შინ, თავის ოჯახში ყოფნა და არსად არ წავა ხოლმე სტუმრად, თუ არ იმპერატორთან. თეატრში, ბალებში არ დადის ბისმარკი, სტუმრებს კი დიდის სიამოვნებით მიიღებს ხოლმე და ვარცინსა და ფრიდრიხსრუში არა ერთხელ ყოფილან სტუმრად კეთილ-შობილნი, მაღალ-ხარისხოვანნი და გამოჩენილნი კაცნი. ბერლინში წელიწადში ერთხელ ყველა დიპლომატები შეიყრებიან ხოლმე ბისმარკის სახლში, და უამისოდაც ისეც ხშირადა ჰმართავს, ეგრედ წოდებულს, საპარლამენტო სადილებს. ბისმარკს ძალიან უყვარს ლაპარაკი, მასლაათი, ბევრი ანდაზები იცის და მით უფრო სიამოვნებით ემასლაათება ხალხსა, რომ ყველანი დიდის ყურადღებით უსმენენ. ძალიანა სწყინს, როცა რაშიმე წინააღმდეგობას გაუწევენ, სიტყვას შეუბრუნებენ, აინთება ხოლმე და ამიტომ ყოველთვის სასიამოვნო არ არის კანცლერთან ყოფნა. თავის ხელ-ქვეითებს ხშირად ლაზათიანად შეამკობს ხოლმე, როცა გაჯავრებულია. რომ დამშვიდდება, თითონვე აღიარებს და შეინანებს,—ცუდი ხასიათი მაქვს, მალე ავპილპილდები ხოლმეო.

თავადი ბისმარკი ძალიან გულჩახვეული და სევდის ამყოლი კაცია. ბუში ამბობს, რომ ერთს საღამოს, 1877 წელს, ვარცინში ბისმარკი ძალიანა სჩივოდა და თავის ბედს ემდურებოდაო. «ჩემმა მოღვაწეობამ და ხან-გრძლივმა შრომამ ვერაფრით დამაჯილდოვაო, უთქვამს ბისმარკს. ერთი კაცი არ მოიპოვება, რომ ჩემი მადლობელი იყოსო. ჩემის შრომით ვერავინ გავაბედნიერე,—ვერც ჩემი თავი, ვერც ჩემი ცოლ-შვილი და ვერც სხვა ვინმეო. მწუხარების მეტი არა მინახავს-რა ჩემს სიცოცხლეშიო.»

„ვიღაცამ უთხრა თურმე ამ დროს ბისმარკს: „თქვენი მადლობელი უნდა იყოს დიდი ერი, რომლის ბედნიერებისთვისაცა ჰზრუნავდით და გააბედნიერეთ კიდეცაო.“ — „მართალიაო, უთქვამს ბისმარკს, მაგრამ იცით რამდენი გაუბედურდა ჩემის მიზეზითაო? მე რომ არა ვყოფილიყავ, არც სამი დიდი ომი მოხდებოდა, 80,000 კაცი არ გამოესალმებოდა ადრე-და-მალე თავის სიცოცხლესა. დედ-მამას შვილი სატირლად და საგლოვად აღარ გაუხდებოდა დასა—ძმა, ცოლსა—ქმარიო.“

ორ-ანი

ბულ ვენახებს და სიმინდებს მერე სულ ბოლო მოუღო შემოდგომის წვიმებმა და სიცივეებმა. აგერ თთვეზე მეტია, რომ სულ განიადაგებული წვიმებია. ახლო-მახლო მთები ჩამოთოვლა და ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ გეგონა ზამთარი დაგვიდგაო. ამ წვიმიანობაში რაც სიმინდები მოიჭრა, მისი ჩალა სულ დალპა და გაფუჭდა; გამოსავალიც საიმისო არაფერი იყო: შარშანდელის ნახევარი ძლივს მოგვივიდა. ეს ორიოდე დღეა რაც დარები დაიჭირა და ჰაერი გათბა. გულ-გატეხილი გლეხები თავებს იხოცვენ მუშაობითა: დღისა და ღამეს ასწორებენ და უნდათ მალე შეიტანონ სახლში ჭირნახული, რომ წვიმებმა კიდევ არ მოგვასწროსო. უნდოდათ რთველიც დაეწყოთ, მაგრამ ჯერ კარგად არ არის ყურძენი მწიფე; მხოლოდ შავს ყურძენს ჰკრეფენ აქა-იქ, რადგან შავი ყურძენი უფრო შემოსულია.

თუმცა ღვინო და სიმინდი ასე ცოტა მოუვიდა ზემო-იმერეთს, მაგრამ სამაგიეროდ ლობიომ დააჯილდოვა. წელს ლობიო ძალიან ბლომად მოვიდა.

სხვა სიკეთესთან ერთი სიკეთეც მოგვემატა წელს. აგერ რამდენი ხანია, რაც ზემო-იმერეთი ცოტად თუ ბევრად მოსვენებული იყო და ქურდობისა არა ისმოდა-რა, და აი ეხლა კვლავ იჩინა თავი ამ საზარელმა სენმა. აქაურს გლეხს ისეც არა აქვს-რა და რაცა აქვს, იმასაც ჰპარავენ. ამას წინად ორჯელ ზედი-ზედ გაჰქურდეს ერთი მღვდელი, ისე რომ ვერავინ ვერ გაიგო მეორე დღემდის. პირველ ოქტომბერს ს. შ—ში სამგან მისულა ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმარი და სამგანვე ცდილა ხელის მოთბობასა. ჯერ ერთგან მისულა, ფანჯარაზე კიბე მიუდგამს და შიგ გადაძრომა მოუნდომებია, მაგრამ სახლის პატრონს გაუგია და უფრენია ქურდი. ამის შემდეგ მეორე გლეხისას მისულა. აქ შინ შესვლა ვერ გაუბედნია და გარედ დარჩენილი ხურჯინი და სხვა რა-გინდა-რა წაუღია. მერე კიდევ სხვა სახლთან მისულა. აქ შინ ორის ქალის მეტი არავინა ყოფილა; მამა-კაცნი მინდორში ყოფილიყვნენ. ქურდი შესულა ერთს ოთახში და იქ კი კარგად მოუთბია ხელი. იქიდამ გაუტანია: საკერავი მაშინა ზინგერისა, სალფეთკები, სუფრის საფენები, თოფი და სხვა-და-სხვა ტანისამოსი. ქურდს დაეძებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

გ. მაღრაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გულთა-მხილველს, ყოველის საიდუმლოს მცოდნე ბ-ნ მოლჩანოვს, გაზეთ „Новое Время"-ს გამოჩენილს კორრესპონდენტს ახირებული ამბები შეუტყვია. მაგალითად, დღეს ნამდვილად გვარწმუნებს, რომ ინგლისში ყველას ომი ჰსურთო, რომ პლანიც მზად არის, როგორ უნდა მოხდეს ეს ომიო.

> ინგლისელები ამბობენ—„ომი იქმნებაო!" დიპლომატები გვარწმუნებენ, რომ არ იქნებაო,—გვაუწყებს ბ-ნი მოლჩანოვი. ამათში რომელი უფრო უკეთესი წინასწარმეტყველი გამოდგება, ამას დრო გვიჩვენებსო. ეხლა კი მხოლოდ იმას გიამბობთ, პირველთ რად ჰსურთ ომი და მეორენი რადა დგანან უარზე.

აი რა აწუხებთ, მოლჩანოვის სიტყვით, ინგლისელებს:

> თუ ნება მივეცით და რუსეთმა ბოლგარიაში ფეხი ჩადგა, მაშინ აღარ გაუჭირდება ბოლგარიის ჯარებიც თავისკენ მიიმხროს და სტამბოლის კარს მიადგეს. მთელი ბალკანის ნახევარ-კუნძული რუსეთს ჩაუვარდება ხელში და მაშინ რუსეთი უძლეველი გახდება. არა, ჩვენ ეხლავე უნდა ვეცადნეთ, რომ რუსეთმა ასეთი ძალა არ შეიძინოს...

„სჯობს ომი ეხლავე დავიწყოთ!"—აი ფრაზა, რომელიც დღეს ინგლისში ყველას პირზე აკერია. თვით ინგლისის დედოფალიც ომის მომხრეა. საყურადღებო კიდევ ის არის თურმე, რომ, როდესაც კი ომზე ჩამოაგდებენ ლაპარაკსა, უთუოდ ბატენბერგის სახელს ახსენებენო. რათა? იმიტომ, რომ მთელი პლანია შემდგარი ომის თაობაზე და ამ პლანზე პირველ ადგილას ბატენბერგია გამოჭიმული, რადგანაც სლივნიცის გმირისა დიდი იმედი აქვთ ინგლისელებსა.

ეს პლანი, როგორცა სჩანს, საიდუმლო არა ყოფილა. რა ვიცით, ბ-ნი მოლჩანოვი კი გვარწმუნებს, რომ მე დაწვრილებით ვიცი ეს პლანიო...

ინგლისელები თურმე სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ საქმე სწორედ ასე იქნებაო და ამიტომ ჰსურთ ომი ასტეხონ.

> რასაკვირველია, თითონ ომს არ დაიწყებენ, ინგლისს ჩვეულებად არა აქვს წინ ვინმე გაუძღვეს. გაცილებით არა სჯობია, წინ სხვები გაგზავნოს და თითონ შორს დადგეს და გაამხნევოს. ხოლო ვინ დასთანხმდება, რომ ინგლისის გულისთვის ძლიერს სახელმწიფოს თავი შეაკლას. ავსტრიას არა ჰსურს რუსეთთან ომი დაიწყოს, ოსმალეთმაც ამ ბოლოს დროს ჭკუა ისწავლა და ინგლისს აღარ უჯერებს. ინგლისს ეს ყველაფერი კარგად ესმის და ამიტომ ასე მაგრად ჰკიდებს ხელს ბატენბერგსა. ბატენბერგისა დიდი იმედი აქვთ. ბატენბერგი ყველაფერს გაჰბედავს, და ან კი რატომ, რას დაჰკარგავს? და თუ კი ბოლგარიამ საქმე დაიწყო, მაშინ ფიქრი აღარ არის: ვერც ავსტრია, ვერც ოსმალეთი გულხელ-დაკრეფილი ველარ დადგება.

დიპლომატები? დიპლომატები რაღას ამბობენ, რად არიან ომის წინააღმდეგნი? აი ამაზე რას ამბობს მოლჩანოვი:

> დიპლომატები და დიდ სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენელნი, მეტადრე გერმანიისა, უსმენენ ინგლისელებსა და დასცინიან მათ მშვენიერ პლანებსა.
>
> —სხვებმა ომი დაიწყონ და მერე ჩვენ ფლოტს მივაშველებთო,—ამბობენ ინგლისელები.
>
> —ძალიან კარგიო, ეუბნებიან ამაზე დიპლომატები, მაგრამ ფლოტი სადღა გაქვთო?

ყურადღების ღირსია მართლაო, გვარწმუნებს მოლჩანოვი, რომ ინგლისს არც სამხედრო ხომალდები აქვს, არც ჯარები ჰყავსო.

> თუმცა ყველა დარწმუნებულია, რომ ვითომ ინგლისს დიდი ძალა აქვსო, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა და დროა ყველამ გავიგოთ, რომ ინგლისს სრულიად არაფერი შეუძლიან და ვერავისთან ომის დაწყებას ვერ გაჰბედავსო.

ჩვენ მხოლოდ გვსურდა ჩვენის მკითხველების ყურადღება მიგვექცია ამ ყოველს შემთხვევაში საყურადღებო წერილისთვის.

⁂

დღეს რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში ცხარე ბაასია ატეხილი ესრედ წოდებულ „შინაურ საქმეებზე". ზოგიერთმა გაზეთებმა უსაყვედურეს პეტერბურგის დიდრონს გაზეთებს, რომ უცხო ქვეყნების საქმეს უფრო დიდს ყურადღებას აქცევთ, ვიდრე „შინაურს საქმეებსაო". ჟურნალ „Стрекоза"-საც მონაწილეობა მიუღია ამ ბაასში და აი როგორ ოხუნჯობს:

> ბევრი ვეცადეთ და ბოლოს ვიპოვეთ „შინაური საქმეები". აღმოჩნდა, რომ ჩვენ მხოლოდ ოთხი „შინაური საქმე" გვქონია. პირველი—გლეხების გარდასახლების საქმეა, მეორე—ტყეების გაშენება, მესამე—ნავთის მილებით გაყვანა და მეოთხე—შაქრის წარმოებისა და გაყიდვის თაობაზე.
>
> როგორ, რას ჰფიქრობთ გარდასახლებაზე, ნავთზე, ტყეებზე და შაქარზე? აი ჩვენი აზრი გლეხების გარდასახლებაზე: სჯობია ერთს ადგილას ისხდნენ ჩვენი გლეხები, ვიდრე აქეთ-იქით იარონ, და თუ მაინცა-და-მაინც რაიმე მიზეზის გამო გარდასახლება აუცილებლად საჭიროა, მაშ ერთს ადგილას ნუ დასხდებიან.
>
> ტყეების გაშენება, ჩვენის ფიქრით, კარგია. რაც უფრო მეტს ტყეებს გავაშენებთ, მით უფრო შეშა იაფი იქნება. ჩვენ იმაზედაც კი არაფერს ვიტყვით, რომ ქალაქის დიდს ქუჩებზე ტყეები გააშენონ.
>
> ნავთის მილების გაყვანაც სასურველია. როცა მილებიდამ ნავთი გამოვა, მაშინ ცეცხლი მოვუკიდოთ, საუცხოვო ჩირაღდანი აენთება. გარდა ამისა, ჩვენ გვსურს, რომ ეს საქმე სამართლიანად იყოს მოწყობილი: ერთი ნახევარი ნავთის მილებისა როდშილდს უნდა ეკუთვნოდეს, მეორე ნობელს და თვითეულს ამათა დიდრონი პირ-საცავები უნდა მიეცეს. თუ სადავოდ გაუხდათ რამე, მაშინვე მილებს პირს დაუცვენ და ვერც არავინ ძალას დაატანს, ვერც ხელს დაუჭერს, მანამ დავა არ გადასწყდება.
>
> შაქრის თაობაზე ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ეს საქმე კარგი არის. ჩვენი ცხოვრება ისეც არ არის ტკბილი და ჩვენ კიდევ ავტეხილვართ შაქარს ფასი მოვუმატოთო. შაქრის მწარმოებელნი—ავაზაკები, მცარცველები არიან, ამ მცარცველებს ცხვირში ძმარი უნდა ამოვადინოთ, არა თუ შაქრით უფრო მეტად პირი დავუტკბოთ.

„Стрекоза", რასაკვირველია, სცდება: „შინაური საქმეები" მეტია და მეტის თქმაც შეიძლება ამ „საქმეებზე".

⁂

ჟურნალ „Дневникъ Писателя"-ში შემდეგი სასაცილო ამბავია დაბეჭდილი.

> ორს მოსკოვის ვაჭარს სცენაზე უნახავსთ, თუ წაუკითხავთ გამოჩენილის გრიბოედოვის კომედია „ვაი-ჭკუისაგან", არ ვიცით, და ასეთი ლაპარაკი კი მოსვლიათ: „სოფია პავლოვნას" და „მოლჩალინის" შორის რაიმე დასაძრახისი საქმე იყოვო, თუ არაო? ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ვერაფერზე დათანხმდნენ. ბოლოს გარდასწყვიტეს: ოსტროვსკისა ვკითხოთო.—ოსტროვსკიც დრამატურგია და იმას ეს საქმე კიდეც ეცოდინება და კიდეც დაეჯერებაო. ჰკითხეს ოსტროვსკის.
>
> —ბატონებო, როგორ არა გრცხვენიანთ,—უპასუხა ოსტროვსკიმ. „სოფია პავლოვნა" პატიოსანის ოჯახის ქალი იყო და კიდეც რომ შემთხვეოდეს რაიმე საძრახისი, უნდა დავჩუმდეთ, დავფაროთ და არა საქვეყნოთ გამოვააშკარაოთო.

ახირებული ცნობის-მოყვარენი ყოფილან მოსკოვის ვაჭრები!..

რუსეთი

—კურსკიდამა სწერენ გაზ. „Новости"-ს: ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში მეტად გაძლიერდა თვით-მკვლელობაო. მაგალითებრ, 1 სექტემბერს სოფ. ტროიცკში თავი ჩამოიხრჩო ერთმა ჯვარის-კაცის ცოლმა, ევდოკია როჟკოვისამ, 28 წლის დედა-კაცმა.—5 სექტემბერს, სოფ. პუშკარში თავი ჩამოიხრჩო გლეხის ქვრივმა ირინა პატალინისამ, 40 წლის დედა-კაცმა.—8 სექტემბერს, სოფ. ისტობაში თავი ჩამოიხრჩო 60 წლის მოხუცმა, ეფიმ იაკოვლევმა.—14 სექტემბერს სოფ. ბოჩაროვკაში თავი ჩამოიხრჩო გლეხის შვილმა 17 წლის ახალგაზდამაო.

—ამას წინად ქალაქ ნეჟინში, პოლიციის სადგომის ახლო, საღამოს 3—4 საათზედ გაუცარცვავთ ვიღაც ქალი; ავაზაკები ორნი ყოფილან და შუა-დღისას ისე გაუტიტვლებიათ ქალი, რომ კაბა არ შეურჩენიათ ზედა.

—ამავე ქალაქში ვიღაც ვ. კ—ცევს შეუტყუვილებია თავის ოთახში სახლის პატრონის შვიდი წლის ქალი და გაუპატიურებია. საცოდავი ყმაწვილი სამკურნალოში გაუგზავნიათ და დამნაშავე კი დატუსაღებულია.

—უფაში 7 სექტემბერს შემდეგი ამბავი მომხდარა: შუაღამისას გრიმბერგის ყავახანაში ფანჯრიდამ გადამძვრალა ხარაზი ვასილი კუზმინი, 28 წლისა, და მძინარე გრიმბერგისთვის დანა ისე მაგრად დაურტყამს, რომ მახვილი სამად გადამტყდარა. ბნელაში ავაზაკს მხოლოდ ლოყა გაუჭრია გრიმბერგისთვის. გრიმბერგი წამომხტარა და დაუწყია ავაზაკსა და მხვეწრელს ბრძოლა. ბევრი უხვეწნია გრიმბერგს, რომ გამიშვი, ნუ მომკლავ, რაცა მაქვს, ყველაფერს მოგცემ და პირობას გაძლევ, რომ არც გიჩივლოვო, მაგრამ ავაზაკს თავისი არ დაუშლია, დაუყვირნია: «სტყუი, მიჩივლებო!» და კისერში წაუვლია ხელი. ამ დროს გარეთგან კარები შეუმტვრევიათ, მაგრამ ავაზაკი მაინც არ გაქცეულა და არც წინააღმდეგობა გაუწევია, როცა დაუჭერიათ.

—ამ რამდენისამე დღის წინად ქ. ორიოლში იქაურს მამულთ-მეპატრონეს ერთი გლეხი მოუკლავს დამბაჩითა. აი მიზეზი რა ყოფილა მკვლელობისა: ქალაქის ერთს ვიწრო ქუჩაში გლეხებს თივით სავსე ურმები მიჰქონდათ; ამ დროს ამ ქუჩაზედ გამოიარა თურმე ბ-ნ ტ—მა ეტლით. ეტლი ურმის ნელა სიარულს შეუყენებია, რასაკვირველია, რადგან ურემი წინ მიდიოდა თურმე. ტ—ვს დაუყვირნია ერთის გლეხისთვის: ურემი გვერდზე მიაყენე და გზა მოგვეციო, გლეხს ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ურმის მისაბრუნებელი ადგილი არსად ყოფილა. ამაზედ ტ—ვი გაცხარებულა, გადმოსულა ეტლითგან და დამბაჩით მოუკლავს გლეხი. ტ—ვი დატუსაღებულია ამ საქმის გამოვო.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. «Times»-ის კორრესპონდენტი სწერს: ბოლგარიის აწეწილ-დაწეწილ საქმეების გასარკვევად საჭიროა შემდეგი საპასუხო საგანი ავხსნათო: რა გზას დაადგებიან რუსეთი, ავსტრია და გერმანია? რუსეთი, თვითონვე იძლევა პასუხს კორრესპონდენტი, უეჭველია, ჯარებს ჩააყენებს ბოლგარიაში, რომ „წესიერება და მშვიდობიანობა დაიცვასო". გერმანია ისე მოიქცევა, როგორც რუსეთის სურვილია, რუსეთის წინააღმდეგ არ იმოქმედებს, რადგან თავადს ბისმარკს ეშინიან, რომ გერმანიაზე გამწყრალმა რუსეთმა «ხელი საფრანგეთს არ გაუშვიროს» და არ დაუმეგობრდესო. ისე ეფიქრება ამისი ბისმარკს, რომ რუსეთის სასიამოვნოდ ავსტრიასაც-კი ასუტეხს რასმეო. ავსტრია კი რომ ვერაფერს იზამს, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ტისას სიტყვამ ვერაფერი გავლენა იქონია რუსეთზედაო.

—ბუქარესტითგან ატყობინებენ „კელნის გაზეთს": გუშინ 8 ოქტომბერს, ბუქარესტში სტოიანოვის მოწვევით კრება იყო და კრებაზედ დაესწრნენ კომენდანტი ფილოვი და სხვა აფიცრებიო. კრებამ გარდასწყვიტა, რომ ბატტენბერგს დეპეშა მისწეროს და სთხოვოს: თუ დიდმა საერო კრებამ ხელ-ახლად ამოგირჩიოთ ბოლგარიის მთავრად, დათანხმდით და ჩაიბარეთ ბოლგარიის ტახტი **ერის სურვილისამებრო.**

—სოფიელი კორრესპონდენტი გაზ. „Times"-სა აი რასა სწერს ამ გაზეთს არჩევანების შესახებ: სტამბულოვს 1,763 კენჭი ამოუვიდა, როდოსლავოვს—1,731, ვულჩევს—1,782 და ივანჩოვს—1,669. დანარჩენ ამორჩეულთ თითოს 1,500 კენჭი ამოუვიდაო; კარაველოვს—27 და ცანკოვს—7-იო.

—ვიდინში, გაზ. Politische Correspondenz-ის სიტყვით, რუსეთის კონსულს ორი ნოტა გარდაუცია ვიდინის ქალაქის პოლიციის უფროსისთვის. პირველს ნოტაში რუსეთის კონსული სჩივოდა: 200 გლეხი მოვიდა საკონსულოში და უნდა უკანონოდ მომხდარ არჩევანებზედ საჩივარი ეთქვათ, მაგრამ პოლიციის მოხელეთ გაჰფანტეს ეს ხალხიო. პოლიციის უფროსს უპასუხნია, რომ ის 200 გლეხი რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენო და ნება არა ჰქონდათ უკმაყოფილება გამოეცხადებინათ არჩევანების გამოვო. მეორე ნოტაში გამოცხადებული ყოფილა, რომ რუსეთი არჩევანებს კანონიერად არ იცნობსო. პოლიციის უფროსს უპასუხნია: ეგ ჩემი საქმე არ არის, სარეგენტო მთავრობას გამოუცხადეთო.

—ინგლისში ხმა დადისო, ამბობს გაზ. „Köln. Zeit."-ი, რომ ბოლგარიის მთავრად შეიძლება ჰერცოგი ედინბურგი ამოირჩიონო.

—იქნება ომი, თუ არაო? კითხულობს ჟურნალი «Contemporary Review»-ი. ინგლისელები იმ აზრისანი არიან, რომ ომი უეჭველად იქმნებაო; დიპლომატები-კი ამტკიცებენ: საქმე უომრად გარიგდება და მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. ერთად-ერთი სახელმწიფო რუსეთია, რომელიც ამ ჟამად არხეინად დგას საპოლიტიკო მოედანზედ და ყურს საითაც უნდა, იქით გამოაბამს საქმესაო. ოსმალებმა კარგად იციან, რომ პრინც ალექსანდრეს გადაყენება გერმანიისა, ავსტრიისა და ინგლისის სურვილის წინააღმდეგ მოხდაო. მაშ რატომ ხმა არ ამოიღეს ამ სახელმწიფოებმა, რატომ წინააღმდეგობა არ გამოაცხადეს? იმიტომ, რომ პოლიტიკამ პირი იბრუნა, სხვა გზას დაადგა, სხვა ასახსნელი და გასარიგებელი საქმეები წამოდგა საპოლიტიკო სარბიელზედ და ეს საქმეები ხელს უშლიან და აბრკოლებენ ამ სახელმწიფოებსა. ოსმალები იღიმებიან, ეს რომ ესმით ხოლმე, და პირ-

და-პირ აცხადებენო: იმიტომ გაუჩუმდნენ რუსეთს ეს სახელმწიფოები, რომ იმდენი ძალა არა აქვსთ რუსეთს გაუმაგრდნენო. აქამდე ოსმალეთს დიდი იმედი ჰქონდა გერმანიისა, ეგონა, რუსეთს წინ დაუდგება და მფარველობას გამიწევსო, მაგრამ ეხლა ეს იმედიც გაუცრუვდათო. სტამბოლში ეხლა იმ აზრისანი არიან, რომ რუსეთს ავსტრიასთან შეერთებული გერმანიაც კი ვერას დააკლებსო. ოსმალეთი ეხლა სამუდამოთ დაკარგულია ინგლისისათვისაო, ამბობს გაზეთი. რაც უნდა ჩაიდინოს რუსეთმა, ოსმალეთი გაუჩუმდება, განზედ გადგება და არც ერთს სახელმწიფოს არ მიემხრობაო. ამიტომ რუსეთს ადვილად შეუძლიან ბოლგარიაში ჯარი ჩაუყენოს და უომრად სტამბოლის კარებს მიადგესო. თუ ეს ასე მოხდა, რუსეთი ისე გაძლიერდება, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვეღარ დასძლევსო...

* * *

დეპეშა

10 ოქტომბერი

ლონდონი. დიდნი სახელმწიფონი თანხმანი არიან, რომ რუსეთმა იკისროს პირველობა და მოაწყოს ბოლგარიის გაძნელებული და გამწვავებული საქმეებიო.

ვენა. წარმომადგენელნი დიდთა სახელმწიფოთა წავლენ ტირნოვოს, როცა დიდი საერო კრება გაათავებს არჩევანების შემოწმებასაო, სახელდობრ, ასე ორის კვირის შემდეგაო. ამ სახით მთავრის ამორჩევა დაგვიანდებაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

12 დღე კვირა. ღირს. კოსმან მგალობელისა. სომეხ. მე-5 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). გენერალი ერმოლოვი დაინიშნა მთავარ მართებლად საქართველოში, 1816 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—17; ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5, მთვარე ამოდის 2—51, ჩადის 3—24.

13 დღე ორშაბათი. წმ. კარპისა და ნიკიტისა. კათოლ. წმ ალმსაარ. ედუარდისა. სომეხ. პოვნა წმ. ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის. კათოლიკ. წმ. თათლოსი და სხ. დაბადება მათ უმაღლესობისა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, 1832 წ.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დამატებანი 1861 წ. 19 თებერვალს გამოცემულის დებულებისა ბატონ-ყმობიდამ განთავისუფლებულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების თაობაზედ ტფილისის გუბერნიაში, 1865 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—10. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—3; მთვარე ამოდის 4—2, ჩადის 4—1.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჭვავის მმის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

პეტერბურგის ბირჟა, 6-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	დველის:	გამყიდველისა	გაყიდულის:
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 62 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	167¼ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთ.	—	—	239½ მან.
— მეორისა	222 მან.	—	
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	97 მან.	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან	—

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	**ბათუმი** . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია** .	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

განცხადებანი

კვირას, 12 ოქტომბერს 1886 წ. ბ-ნის ნიკიტინის ცირკის შენობაში, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა,

ფიზიკოსი კ. ო. კრაუზე

გამართავს პირველად დიდს საოპტიკო და საფიზიკო წარმოდგენას დიდის ნისლოვანის სურათებითა. წარმოდგენა 3 განყოფილებად იქმნება. დაწვრილებით ყოველივე აფიშებში სწერია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კასსა ღია იქნება წარმოდგენის დღეს დილის 10 საათიდამ 2-მდე და ნაშუადღევის 4 საათიდამ წარმოდგენის გათავებამდე. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. ჰ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირ-და პირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—7)

ქართული სამეურნეო გაზეთი

„ცისკარი“

1887 წ. იანვრის პირველიდგან გამოვა კვირაში ორჯელ, ხუთ-შაფათობით და კვირაობით.

ამ გაზეთის პროგრამმა არის შემდეგი:

1) მმართებლობის განკარგულება, შესახებ მამულის შემუშავებისა და მამულის მფლობელობისა.

2) სხვა-და-სხვა ცნობები, შესახებ მეურნეობისა. აქ იქნებიან დაბეჭდილნი: ხვნა-თესვა, სოფლიური სახლოსნობა, ხვნა-თესვის იარაღის გაუმჯობესობა, ვენახების უკეთესად მოვლა და ღვინის გაუმჯობესობა; პირუტყვის მოშენება, ფუკრის მოვლა, გამრავლება და საზოგადოდ სასარგებლო მამულის შემუშავების ცნობები.

3) სახალხო ჰიგიენა. ამ ნაწილში შემოვიტანთ იმ ცნობებს, თუ რა გვარად სწამლობენ შინაურად დაჭირების დროსა.

4) ადგილობრივი კორრესპონდენციები სხვა-და-სხვა კავკასიის მხრიდამ. მომეტებით უფრო მამულების მოვლის შესახებ.

5) მოკლე მოთხრობები და ამბავები, რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებიდამ.

6) ფელეტონი: მოკლე ლექსები და წერილები, როგორც ნამდვილნი, ისე ნათარგმნი, იმ გვარნი, რომელნიცა შეიცავდენ ზნეობითსა აზრებსა.

7) მოკლე ცნობები, რომელნიცა ხვდებიან როგორც რუსეთში, ისე სამზღვარს გარეთ, მმართებლობის მოანბიდგან გამოკლებულნი.

8) სასმელ-საჭმლის მაზანდა ტფილისში, თუ ადგილობრივ სოფლებში. განცხადებები პალატის და ტფილისის მაზრის სამსჯავროებში დანიშნულს საქმეებზედ, და სხვა-და-სხვა განცხადებები, როგორც სახაზინო, ისე კერძო საქმეებისა, უფრო ისეთის სახაზინო საქმეებისა, რომელნიცა ნარდად (ფოდრათით) ეძლევიან გასაკეთებლად ვაჭარ ხალხსა.

ფასი „ცისკრისა“.

ადგილობრივ გაგზავნით, თუ გაუგზავნელად, წელიწადში 6 მან. თვეობით ხელის-მოწერა არ მიიღება

ცალკე ნომერი „ცისკრისა“ ღირება—ერთ შაურად.

ვისაცა ჰსურს ამ გაზეთის დაბარება, უნდა მიჰმართოს: 1) «ტფილისში, თვითან რედაქციას, ვერის დიდ ქუჩაზედ, წილოსანის სახლებში.

2) გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემინარიის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლებში, სადაცა არის თვითან „ცისკრის“ კანტორაცა. 3) გრიქუროვის წიგნის მაღაზიას, ხიდის ყურზედ, ზუბალოვის სახლებში.

რედაქტორი ი. კერესელიძე

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეხუთე გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, და გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—საღმრთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმის მოთხრობისას, სურათებით. საღმრთო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზედ ერთი თაბახით, ანუ 32 გვერდით, დიდია; მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამამცემლის გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკის ხიდის ყურთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე